

როგორ



არასი

№ 27

-სალამური

ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.

როგორ განვითარდა ადამიანთა მოძრაობა,




ლოკოტაფია ს. ბიბიასა.

პირველ ყოფილნი ადამიანნი მოკლებულნი იყვნენ ბედნიერებას ორ ფეხზე სიარულისა. ისინი, როგორც დღევანდელი პირუტყვი,

ოთხ ფეხზე დადიოდნენ. მხოლოდ ზოგიერთი მათგანი და ისიც კეტის საშუალებით, თუ შესძლებდნენ ხოლმე მცირე ხნით უკანა ფეხებზე შედგომას. სკამდენ მაშინდელი ადამიანები ბალახ-ბულუსსა და ერთმანეთის ხორცს *).

*) აქ ცხადთ გამოსტევიის განსხვავება პირველყოფილ ადამიანთა და ზუღიგან დებუტატთა შორის, რამეთუ ესინი თავისიონებს არა სკამენ, არამედ სხვათა მგამლობას ქადაგობენ.



პირველ-ყოფილ ადამიანთა შორის გამოჩნდნ ისეთები, რომლებმაც აღრევე იგემეს სხვათა ზურგზე ჯდომა და ამ მიზნით მიიხვიეს ცხენები. იმათ ასე ზშირათ აღარ უზღებოდათ ფეხით და მით უმეტეს ფორთხვით სიარული. ერთ რაზმათ შეკავშირებულნი და შუბებით შეიარაღებულნი ისინი ესზოდენ უფრო ბეჩავ ადამიანებს და ძარცვავდნ მათ *)

*) ამ საფეხურზე ედგომ ადამიანთა მსგავსება ჯერაც მოიპოვება: ჩვენში დარაჯთა სახით, ხოლო ჩინეთში ეგრეთ წოდებულ ეშმაკი.



განვითარება ნელის ნაბიჯით, მაგრამ მაინც წინ მიდიოდა. ადამიანთა ერთმა ჯგუფმა მოიგონა ურემი. აქედან მოიღო და საბაში სანაქებო თვისებამ ადამიანისამ, რომელსაც ეწოდება: „ქელის მოხრა“! ქართველთა მოდგმის განვითარება ამ წერტილზე გაჩერდა. ამიტომაც არის, რომ ღველა ქართული დარწმუნება დანაბ: „ეს ურემის ანდაზით აიხსნება. აი ეს სანაქებო ანდაზა: „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მას უკან გამოჩნდება“ *).

*) სატიროსა შეგნიზნოთ, რომ ჩვენი ურემი მუდამ თვდაყირა გდია, მაგრამ გზა ჯერ ბევრ ჩვენგანს არ დაუნახავს. ეშმაკი.

მღვთობა

როგორ უნდა გახდეთ აგათ ხალციხით.

თუ ურნალ-ვაზეთებს დაუუჯერებთ, ამ ბოლო დროს ქ. თფილისში ხოლერამ ძლიერ ისუსტა. რას ნიშნავს ეს?

ოოო! ეს ბევრს რასმე ნიშნავს, დიდს რასმე ნიშნავს!!!

ეს, იმას ნიშნავს, რომ თუ მართლა მოისპო ეს ჩვენი ქუჩების მფარველი, მოისპო შიში წინაშე მისი მრისხანებისა, პატივცემულნი მამანი და სანიტარნი ქალაქისანი ჩვეულებრივს ღრმა ძილს მივცემიან და ქალაქი ისევ სიბინძურით აივსება.

ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლათ, ჩვენი რედაქცია პირდაპირ ევდერება (УМОЛЯЕТЬ) მოქალაქეებს იხელმძღვანელონ ამ ჩვენი დარიგებით და არ მისცენ საშუალება ჩაქრეს ეგ ძვირფასი სენი, ეგ საფრთხობგელა სიბინძურეს ნაჩვევ სანიტარებისა. ამ დარიგების ასრულებით თქვენ ძლიერ ადვილათ შეიძენთ ხოლერას და მით დაუფასებელ ღვაწლს დასდებთ ქალაქის გასუფთავების საქმეს.

1) სვით მხოლოდ მტკვრის წყალი და ისიც მუხრანის სიღის ქვემოდ ამონადები.

2) სვით აგრეთვე შეავე „კვასები“ და თფილისის კენახების ღვინოები.*)

3) სწამეთ უსვათ და გაუსუფთავებლათ (ან მტკვრის წყალ მონასსურნი) სსვა და სსვა მოძველებული სილეულობა: მსხალი, ვაშლი, ატაძი, უურმენი. და სსუ.

4) ეძალეთ აგრეთვე სსვა და სსვა სარდაფებსა და სასადილოებში მოღულებულ საჭმელებს, მხოლოთ იმ ჰირობით, რომ ისინი ჩვეულებრივ ძველ სანაჯავგეთაგან და ბინძურ სამსარეულოებში მსადდებოდეს.

5) სასურველი ნიშნების შემდეგ მიმართეთ უბნის ექიმს ნ დ. ნატისოვს, რადგან ის ან უურადლებას ან მოგაქცევთ, ან აწა და სოლერას სურდოთ მიიღებს.

6) თუ მოცლა გაქვთ იკითხეთ „გოლოს კავკასა“, „თფილისის ფურცელი“, „ნოვანი რეჩი“, „კავკასი“ და „საკავკასი“, სოლო ვინც რუსული ან იცის, იმან ბანი

*) თუ ამადაც არ გასტრას, იმ შემთხვევაში იხმარეთ ქალაქის მიღებიდან განთავსილი წყალი.

ეშმაკი.

იოსებ იმედშვილის „ტატი და ცხოვრება“. ამ მოხერხებით ადვილათ გამოიწვეოთ გულის რევას, რაიცა სელს უწეობს ჩვენ მიერ დასასული ქიხნის მიღწევას.

7) ახლო მომავალში დაიწეება ქართული წარმოდგენები; უურჩევთ საზოგადოებას იმასაც დაესწრას.

ბევრი, ძლიერ ბევრი რამ გვექონდა სათქმელი და სარჩევი ძვირფასი მკითხველებისათვის, მაგრამ ყველაფერს აბა ვინ ჩამოსთვლის? მიხნის მისაღწევათ ამ შვიდი მუხლის ასრულებაც სრულიად საკმარისია და მუხლ-მოდრეკით ვევედრებით თფილისის საზოგადოებას პირ-წმინდათ ასრულოს იგი.

ამას მოითხოვს გიგიენა!

ამას მოითხოვს ქალაქის სისუფთავე!

ამას მოითხოვს მოქალაქობრივი გაბედულება!

რედაქციის მონდობილობით ეშმაკი.

ღია წერილი.

«მათრასისათვის» მედგრათ მშრომელნო, მოთმინებითა განუზომელნო, პროვინციაში სხედხართ რომელნო ძვირფასნო ჩვენო თანამშრომელნო!

რაკი ჯანსაღათ დამეგულებით წერილს გწერთ ამა განზრახულებით:

- მთელი ზაფხული
- ეშმაკს ეძინა.
- შეხედა ღმერთმა, და გაეცინა.
- განა არ იყო გასაცინარი?
- მაშ ამ სიცხეში, ისიც მძინარი,
- რა ჰქონდა ეშმაკს გასაჩერები,
- არაფინ ყავდა მოსაგერები?

რა ბრძანებაა! ამ ზაფხულში უფრო საჭირო იყო ჯოჯობეთის სიფხიზლე, მეტი მოთხოვნილება ჰქონდა მათრასსა ეშმაკისასა, უფრო თავაღებულნი დადიოდენ გვამნი სამათრახენი.

აი, თუ არა გჯერათ მოისმინეთ:

- ა) ეშმაკები რომ ფხიზლათ ყოფილიყვენ, იამონის მთავრობა განა მოახდენდა კორცის ანექსიას? რასაკვირველია ვერა.
- ბ) რომ ჯოჯობეთურ ძალას თავისი მოვალეობა არ დაფიწყებოდა, განა ასეთი განხეთქილება მოხდებოდა ვატიკანსა და ისპანიის მთავრობის შირის? რა თქმა უნდა, არა.
- გ) ძილმა წაახდინა საქმე, თორემ განა ჩერნოგორიის თავადი „კაროლობას“ დასჯერდებოდა და იმპერატორობას არ მიიღებდა? უეჭველია მიიღებდა.

დ) ჩვენს მოვალეობას არ მივაქციეთ ჯეროვანი ყურადღება, თორემ განა ჩინეთში კონსტიტუცია არ გვექნებოდა?

ცხადია გვექნებოდა.

ამიტომაც უმოჩინესად მთხოვნელი ვართ დღეიდან მინც პირნათლად მოეპყრათ თქვენს წმინდა საქმეს და მსოფლიო ისტორიის მიმდინარეობაში ასეთი შეცდომები არ დაუშვათ.

შემოიკრიბეთ ძალნი, ახსენეთ სახელი... ჯოჯოხეთისა და განაგრძეთ თქვენი დაუღალავი შრომა.

სწერეთ, სწერეთ, მაგრამ ლექსები კი არა... ოჰ, რომ იცოდეთ რამდენ სატანჯველს გვაყენებენ ხოლმე ზოგიერთი „პოეტები“! ჩვენ იმათი დიდი უმადური ვართ.

მაშ ეგრე! ველი თქვენს დახმარებას.

თანაც სისწორობებს და დამატარებას.

თქვენი პატივის მცემელი ეშმაკი.

ს ი ზ მ ა რ ი .

წყნარი ნიავე სატრფოსავით ყელს მეხვეოდა, ფოთოლთ შრიალი შეუდაროს მიმღერდა ნანას, ცა იცინოდა, ვარსკვლავები მიწვიდნენ ხელსა და მეტს არაფერს არა ვთხოვდი მეც ცა-ქვეყანას!

სასაფლაოზე ძლივეს დროშა ხელში მეჭირა, მეგობრის აჩრდილს ვულოცავდი ბრძოლის მოგებას, დაწყვეტილ ბორკილს მუნ ჯალათის

ცრემლი სდიოდა,

მთვარე სწყველიდა იმის ქვითინს, ხმის ამოლებას!

სატრფო ამაყი, მომხიბლავი მე მიდგა წინა, სულის მშვიდობა დამიბრუნა, ჩემი ღვთაება, ერთათ ვიბრძოდით, გამარჯვება ერთი

გვხვდა წილად,

ტურთა გვირგვინათ ხელთ ავიღეთ ჩვენ უკვდავება!

სათაიგულე ყვავილები ბაღში შენოდნენ, მათ სურნელებას ახლოს მიმდგარს მუენდა ნიავე, ზღვისა სივრცეზე ტალღათ სრბოლა

თვალს იტაცებდა,

იქ გავეშურე და ვიხილე ჩემთვისაც ნავე!

სურვილთა გროვამ გზა განლია, ედემს ეწვია, იმის კალთაში გადაჰკოცნა თავშესაფარი, ლხენით აღსავესს ხმა მომესმა ჩამოჰკრეს ზარი, და ვაჰ... იქ ვიგრძენ ჩემი შვება იყო სიზმარი...

რ. ლეჩხუმელი.

არ დავიჯეროთ!

ვისზე როგორ იმოქმედებ ვ. გუნიახ გარდაცვალებამ.

(მიბაძვა იოსებ იმედაშვილისა. „თეატრი და ცხოვრება“)

საზარელი ამბავი ვ. გუნიახ გარდაცვალებისა საზარელი მეხვიით გავარდა საქართველოს თავზე...

პირველად პართენ გოთუაშ აცნობა ვ. გუნიახ ბინაზე მყოფ მგოსან გრიშაშვილს ვალიკოს გარდაცვალების საზარელი ამბის გავარდნა.

რ. გრიშაშვილი ობოლი ბულბულივით ყრუდ აცრელდა... და მიბნედილი თვალები წარმოსთქვა: გ—ე—ნ—ა—ც—ვ—ა—ლ—ე!.

მიხეილ ლაბჯანიძემ ეს ამბავი ეტლში გაიგო და გულდაწყვეტილი ჩამოხტა ძირს, .. თვალე ბიც აუთამაშდა, მაგრამ ვერაფერი სთქვა...

კოტე მესხის საზარელი ამბავი იოსებ იმედაშვილმა აცნობა... სიმწრით გამტკნარდა და ტუჩების თამაშით ძლივეს წარმოსთქვა: მაშ ესეც უნდა დავმარხოთ!., გაოგნდა!..

ა. პ. შიხინოვს თურმე კოტე მესხი გადაეყარა, (რომელსაც ეს ამბავი იოსებ იმედაშვილმა აცნობა) მსახიობმა თითქო ვერ გაიგო ეს ამბავი... და იკითხა: რაო? რაო? რაო? მაგრამ როცა კოტე მესხიმ განუმეორა იოსებ იმედაშვილისაგან გაგებულის ამბავი, მაშინ კი წარმოსთქვა მღულარე კილოთი: „ვალერიან აღარ გვყავს!“ და შეძრწუნდა იგი...

დრამატიულ საზოგადოების გამგეობას მესხისაგან გაგებულის სამწუხარო ამბავი ა. შიხინოვმა გადასცა, თუმცა კოტე მესხს იოსებ იმედაშვილმა, გააგებია. გაგებობა დასიცხულსავით გაშეშდა! საზარელი იყო მისი (გამგეობის) სახის გამომეტყველება და ფეხზე ადგომით პატივი სცა თავისი ბურჯის ხსოვნის მოგონებას...

დრამატიული დახი. წინააღმდეგ ჩვეულებისა, პიესის წასაკითხავათ შეკრებილიყო და გუნიახ მოსვლას ელოდა. სკამები მზათ ედგათ დასაჯდომათ მომზადებული, როცა საზარელი ამბავი მეხვიით შეიქრა ოთახში და ყველას კრიკები შეუქრა, თითქო იალბუზის წვერზე მსხდარიყვენ. კრიკა შეკრულ სკამებს თითქო ჟრუანტელის ქარცეცხლმაც დაუბრაო... წარმოსთქვეს: „აღდეს დაიმარხა ქართული დრამატიული ხელოვნება“ და აქვითინდნენ... მსახიობ ივანიძეს მხოლოდ ორი ობოლი ცრემლი მოსწყდა თვალთაგან და შუბლზე ჩამოგორდა.

ა. საჩაჯიშვილს დიდხანს არ უნდოდა ამ ამბის დაჯერება. თითქო არ უნდა ვისიმე ლაპარაკი გაიგონოსო. მან ცის კიდურისაკენ დაიწყო ცქერა. და თვალდაუხამხამებლად ვერ შეურიგდა ამ ამბავს. მას მოაგონდა გაზ. „ნიშადური“ და კინალამ ცრემლები მოადგა...

ლუარ. ბოცვაძემ, რომელიც ქ. შ. წ. გ. საზოგადოების მდივნის სავარძელში იჯდა და ჟურ. „განათლების“ კორექტურას ასწორებდა, წელი ძლივეს აიღო. თვალბებს აქეთ იქით დაუწყო ცეცება, თითქო რაღაცას დაეძებს და უნდა თვალი მოჰკრას ჟურნალის ქვესკნელში ჩამქრალ კორექტურულ შეცდომას ჩვენი თეატრის ცხოვრებისისა. .

ვახო აბაშიძე ჩვეულებისამებრ არ დასწრებოდა ახალი პიესის კითხვას და ეს საზარელი ამბავი ვოლოვინის პროსპექტზე გაიგო. მღუმარებს: თი-

თქო თავი გაუტეხესო და ამბობს: ჰმ! ჰმ! ჰმ! მის სახეზე გამოხატული კომიზმური გაძომეტყველება თითქო დრამატიზმურულათ შეიცვალა და სდუმს.

ა. ქალანთორმა ვალიკოს დაკარგვა „მშაკის“ რედაქციაში გაიგო, როცა ის ახალი სადღეებელის შესახებ მოწინავესა სწერდა. ის ოდნავ სავარძელში მიეშვა, ოდნავ ამოიხზრა და ოდნავ გასაგონი ხმით წარმოსთქვა: „ჟამანაკ! ჟამანაკ! ეს ინჩეს ჟამანაკ!“..

ი. მარკოზოგმა, „მშაკის“ მეორე რედაქტორმა დასიცხულივით წამოიძახა: ოჰ სიკვდილო, სიკვდილო! ბაიცი, ინჩესი ბარეკამ კორცრეც ჰაიოც ჟოლოურთ! რა მეგობარი მოსტაცე ლომებთა ტომს! და თვალკრემლიანი „არტემიუსს“ გადაეხვია...

ნაკო ლორთქიფანიძემ ეს ამბავი სადილის დროს გაიგო... ჩანგალზე წამოცმული კატლეტი ხელში გაუშეშდა, თუმცა ჰირი უზომოთ დაღებულნი ჰქონდა. წარმოსთქვა: ცივი ყინული... სდუმს... ქნარი...

აოსებ იმედაშვილმა „თეატრისა და ცხოვრების“ სარედაქციო სავარძელში მჯდომარემ გაიგო ეს საზარელი ამბავი. წამოიწია .. ყრუ ხმა გამოსცა... სული გაკმინდა... მცირე ხნის შემდეგ წაილაპარაკა: „მოკვდა ქართული თეატრის ორიგინალური დრამატურგი!.. ის აღარ არის!“.. სავარძელში კვლად გასწორდა. მცირე ხნის შემდეგ ისევ წამოვარდა დასიცხულივით და წარმოსთქვა: „რუ დასაფლავების დღეს ჩემი ჟურნალის მეორე გამოცემა დარჩა საჭირო, მაშინ გვირგვინის ნაცვლად, ორ ნომერს უთუოდ გავუზღავნი რომელიმე ღარიბ სამკითხველოს. გაოგნდა.

ტრ. რაპიშვილს თმები ყალბზე აღუდგენ და დასიცხულივით წამოიძახა: НЕТЬ! НЕТЬ! Это невозможно! თვლიც აუქრელდა.

ფრიდ. რ — ლმა ამ საზარელი ამბავის შესახებ წარმოსთქვა: Когда мнѣ объ этомъ доложили, я былъ пораженъ и сказалъ: не вѣрю!

ბ. ეშმაკს დიდხანს არ სჯეროდა ეს საზარელი ამბავი... თითქო გულის ერთი ძაფთავანი ჩაუწყვიტესო... თითქო აღარც მზის სხივი ეპრიანებაო... თითქო ცხოვრების ხალისი დაეკარგაო .. წარმოსთქვა: „აჲ განუტევე მეუფეო მონა შენი...“

უარუემი.

უპანასკნელი ბრძოლა.

ადექსი კალგოვის.

ქარი თავზე დამღმურდა,
მეხი ცაზე ბობოქრობდა,
სიცივე სულს მითოშავდა,
სუსტ გონებას ის აურთხობდა.

მაგრამ ტანჯვათ არ შევედრკი,
ზედმოსევა განვიწონე,

შევირჩინე სულში ნდობა,
გულში ჟინი, ტანში ღონე!
მოსახდენი უნდა მოხდეს,
რაა ხსნა? ან ტანჯვა მწარე?
წმინდა რწმენას, განგებასა
ამიერით დავემყარე.

იქვი არ სცვლის ამა რწმენას,
მით სიციცხლე გამემქვალა.
უსაზღვროა მასში ლტოლვა!..
განსვენების ტკბილი ძალა...

ბედო, ბრძოლათ ნულარ მიწვევ,
ტანჯვით ნულარ შემუქრები:
მზათ ვარ შენთან საბრძოლველათ,
და ვერაფერს ვერ გახდები!

მე სულს ძალა მიცხოველებს,
სისხლი მიდვას, მიძგერს გული,
ჯვარს ქვეშ — ჩემი საფლავია,
ჯვარზე — ჩემი სიყვარული,

იოსამანი.

მოქალაქის მოვალეობა.

(„სატირიკონიდან“ გადმოღებული).

„თუ კი ახსოვთ მკითხველებს, „სატირიკონის“ 32 ნომერში მოთავსებული იყო გაზ. „რეჩი“-დან და „გოლ. რუს“-დან გადმოწერილი ცნობები შესახებ მამა ვოსტორგოვის ცხოვრებისა.

ეს ისეთი შინაარსის ცნობებია, რომ ან მამა ვოსტორგოვი უნდა იგრძნოს თავი შეურაცხყოფილათ და უჩივლოს აღნიშნულ გაზეთებს ცილისწამებისათვის, (თუმცა ეს აგერ ამდენი ხანი გადის და არ მოუმოქმედებია) ან სამოსამართლო უწყებამ მიაქციოს ყურადღება და დაატყვევოს მღვდ. ვოსტორგოვი, რათა ის არ გაექცეს მართლ-მსაჯულეებს და არ დაიშლიოს.

თანახმად რუსეთის კანონებისა, ყოველი მოქალაქე, რომელმაც იცის ვინაობა რაიმე დანაშაულობის ჩამდენისა, ვალდებულია ყოველივე ამის შესახებ აცნობოს მთავრობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის, იმავე კანონების მიხედვით, ისჯება, როგორც დამნაშავის ხელის დამფარებელი.

ამ მოსაზრებით, ჩვენ, როგორც რუსეთის მოქალაქენი, ვაუწყებთ სამოსამართლო უწყებას ყოველივეს, რაც ვიცით ცნობილი მღვდლის მამა ვოსტორგოვის შესახებ...

და აი ჩვენ რა ვიცით:

„გაზეთი „გოდოს რუსსკაია“ (№ 25 — 26) გადმოგვცემს, რომ ქ. თეაღისში, ქაფთა გემნაზაში სადმითო სკულის მასწავლებლად ვოფინს დროს, ის რუსები და მოსწავლე ჯაღებს სიყვარულსა და მრწამაზე შედამევი, განუწყვეტელა ბასათ, რას შემდგომ იტყვდა მათ

თან, მოსწავლე ქალებთან, უზნეო კავშირს და მიჭყავდა ისინი გახრწნილებამდე.

აი სია მამა ვოსტორგოვის მსხვერმლთა. მოსწავლე ქალები:

- 1) ინტონინა რუბინოვსკაია—ჭკუიდან შეიშალა.
- 2) კვბენია გრიგორევა—ჭკუიდან შესცდა და გარდაიცვალა.
- 3) გერა კუფიოვსკაია,—თავი მოიკლა.
- 4) გორბენკოვა,—თავი ჩამოიხრჩია.
- 5) რომანჩენკო, ცხომედიქ და მისაილოვა,—ფანჯრებიდან გადამოტევიდნენ და სასიკვდილოთ დაშავდნენ“.

ამ სიის სისრულეს, რასაკვირველია ბევრი აკლია. მთავრობის მოხელეთა საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ მამა ვოსტორგოვი ამ უაზარდ იმყოფება ქ. ირკუტსკში მისიონერთა სიეზღზე, საიდანაც მისი წამოყვანა აღვილია.

გარდა ამისა, ყოველ შემთხვევისათვის „სატირიკონის“ ამ ნომერს ვუგზავნით რამოდენიმე გველენიან პირს სამოსამართლო უწყებისას, რათა გულდამშვიდებით ვიყოთ, რომ ჩვენი შენიშვნა წაკითხულია ვისგანაც ჯერ არს და გულდამშვიდებით ვართ, რადგან ჩვენი მოქალაქობრივი მოვალეობა შესრულებულად მიგვაჩნია.

შედეგს ჩვენი მოქმედებისას დაუყოვნებლივ ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს, რომლებიც, ალბათ, დიდის მოუთმენლობით მოელიან მამა ვოსტორგოვის მიერ თფილისში ჩადენილ დანაშაულობათა გამოძევებას.

ჟურნალისტი“.

P. S. „მათრახ-სალამურის“ რედაქციაც ეცდება მიაწოდოს „სატირიკონის“ მიერ მოპოებული ცნობები თავისს მკითხველებს.

მიმოგონების შვირთთა დუღუნა.

1

შვების სიმღერა არეს ატკობდა,
 სიამით ყფუდა წალკოტს ბუღბული...
 კესანე სოსანს ვნებით ეკვროდა,
 შროშანს ჩაწროდა მკერდში სუმბული...
 ნაკადი ველებს ჩაქურტულვებდა,
 ტუჩს უკოცნიდა მზე ვარემოსა,
 სხივთ ნაგვირისტით კაბით და თექით
 ველი, მთა-ბარი გადაემოსა.
 ბედნიერება ქნარს აქღერებდა,
 შორს ინთქებოდა ჰანგი დიადი...
 ტანჯულთ იმედი ტახტს დგამდა ქვეყნად
 ითრგუნებოდა ბნელი, წყვილიაოი...
 და მხოლოთ დარჩა ეს მოგონება,
 აზრი და გული მას ემონება...

2

შუბლს სცვდას კლავდა... შეღიმებოდა...
გულს ეფონოდა მისი სიმღერა.

მე მასი ვიყავ... მას ჩემათ ვთვლიდი...
 თურმე კი შკლიდა თმა წაბლ გიშერა...
 დაწულულებულ გულს ეაიანმა,
 ხმა გრძობით სავსე ბევრჯელ მასმინა...
 მითრთოდა გული, მდევათ მაქცია...
 შორს ამაფრინა, მანეტარ-ლხინა...
 მე ავით ვიყავ... სასთუმალს მიჯდა...
 სნეულს გამთობო მან სატეცილი,
 შუბლს ვადაცვარულს სიმწუხრის ოფლით
 ზრუნვით მოავლო მან ბროლის ხელი...
 და მხოლოდ დარჩა ეს მოგონება...
 სული და გული მას ემონება...

3

ბორკილს ამხვრევდა... ციხეს ანგრევდა
 ქვეყნის პატრონი მაჯა მამვრალი,
 კილითგან კიღემ ააპრილა
 შურის ძიების მგზნებარე ალი...
 უფსკრულმა პირი ვეშაპებრ ალო,
 მსწრაფლ განემზადა ბოროტს სამარე,
 ეთიშებოდა წყეულის სხეულს
 სული საზარი, სიცოცხლე მწარე...
 ბნელ საკანს სპობდა, ხუნდებს ამხვრევდა
 ქვეყნის პატრონი მაჯა მამვრალი...
 დროშა აღმართა მან სიყვარულის
 ააგიზგიზა გრძობისა ალი...
 და მხოლოთ დარჩა ეს მოგონება...
 აზრი და გული მას ემონება...

4

თრთოდა, ფრინავდა... ვერ დაეკო
 აზრი ცხოველი, გრძობა დიადი...
 მნათობი იყო... ტურფა... მშვენება...
 თვით განთიადი... თვით განთიადი...
 სალ კლდეს არყევდა, ზღვას აღელვებდა,
 გრძობა უშრეტო, ტურფა, ლომ-გული,
 შუბლს აღებეჭდა აზრი დიადი
 და ტახტს დაესვა თვით სიყვარული...
 მეგონა ჩემთან პოვებდა საფლავს,
 მეგონა ჩემს ღმერთს ემონებოდა,
 გამარჯვებული მტერთან ბრძოლაში
 აღტაცებული მეკონებოდა...
 და მხოლოთ დარჩა ეს მოგონება...
 სული და გული მას ემონება...

გ. მალაქიაშვილი.

გურული სცება.

კოსტანდილის ჩვილი.

ჰეი, ჰეი, ჰაჰა, ჰაჰა, ისე წვიდა, ძმავ, საქმე,
რომ ანჯახხეა დამარება! დედავ, დედავ, რა დროი
მევიდა, რა დროი!! გეიხედავ და მიგაქ ლლიტინ-
ლიტინი ამ ქურცად ტყეში, გამოდღეტ საცხა
ორ ჯარგვალს, შეკრავ, წაწინწილებ, ამ საკუბ-

რია პალიასტომს გადააშლიქინებ და მიაღვები ფო-
თელებს კარზე. მოგადგება იგიც მოცლითაი და
დაგიწყებს ყაშმიერობას. მანათათ თუ ღირს ლოპეს
გიზამს ორ აბაზათ. მიზრუნდები და მეკამეჩე, ტყის
პატრონი, ტყის მცველები შეგაფუქენიან შეგაქლი-
ბვენ. გადაგრჩება რაცხა ჩემი ბატონი ხარ ორი
გროშ-კაპეიკი, მოჩლახუნობ, მოხვალ შინ ქალი
ბაღანაი ერთათ ყველაყაი მოგაცივიან, მოგაფართ-
ქალდებიან: ბოშო კოსტანდილაგ, ბაბავ კოსანავ,
აგერ თბილი წყალი, აგერ ვახშამი, აგერ ტკბილი
სიტყვა, თფილი ლოგინი, პომპოლიკის ცხოვრება
მაქ სხვი რაი!

მარა გათენდება და შენი ღუშმანისას იმისთა-
ნაი! ვის ახსოვს ხუცის ღრამა, პოლიციის ედენიკა,
ლუქნის ნახარჯი! მარჯვნით მაკინაი, მარცხნით
მადანაი, უკან ნახარები, წინამ ქალბატონი, იქით
ლუბაიეი, აქით გლუბაიეი და კიდევ ათასი, ჩამო-
გითვლიან ჩამოგოკაკლებენ: კაბებიო, ბატინკებიო,
ბანტები და პარაშუტები, პუდრები და პრინოსკები,
მავთულები, მოდისკები, ვეჩერები ტანციები, ცირ-
კები და ტრიატები, ბახმარო და კავალრები, სკვა-
რამი და ჯანაბები! არა ათასჯერ ვიფიქრე: დავკრავ
ფეხს და გადავშებნი ქიშკარზე მეთქი, მარა აბა,
ვისას შევშებ? ჩემსას თუ კოვზითაა, სხვისას გობი-
თაა. ნეტაი ღაცოდინა: ყოლიფერს რომ დევფთხოვ,
ამდენი უცნაური სახელები სად კურმუხეთში დეი-
ზებირეს, სიდოური ღემნაზია-უნდერსენდში ვაჯალა-
დირე აგენი? არა, არა, ყოლიფერი ღრამა მეიტა-
ნა და მასთან კილა იმ თავ ბურდლიანი ციცებების
ბრალიც ქია ჩვენი ციცებების გადარივა. უსტავლია
ჩორთი მორთი, მუულდეთიან კისერზე ნატურალ-
სავით, დუუშიშტიქინებთან კლავები და განათლე-
ბააო და ატეჩაი კოსტანდილაგ თუ გული გაქ.

შხანკოლა.

შარაღა

კოლომ სთქვა: საეშმაკოხე
ცა შავად დარუბლულაო ..
(ორი თვე არის ეშმაკი
საცალა დალუპულაო)
ვაგდივარ დაღონებული,
მუქთად, უსაქმოდ ტყულაო,
მაწუხებს ჩვენი „მათარახი“
რომ აღარ გამოსულაო,
ნეტა რა მოხდა ეგეთი?
ამაზე ვფიქრობ სულაო.

შემდგომად ამა გოდების
კვირე არ გამოსულაო,
გავიგე: სული ბოროტი
მთებიდან ჩამოსულაო,
მოუტანია მათარახი,
თითონაც გაბასრულაო
ფიქრობს აიდოს დანაკლი,

(თუ მართლაც შეასრულაო!..)
მეც დავამზადე შარადა,
შარადა ჩიქორთულაო,
მაგრამ: „ეგეთი აჯობებს
არარაობას სულაო“.

სახულიგანო ფნრია,
რუსეთში განახშირები,
ერთგულათ იმოსებიან
წარჩინებული პირები,
აგრეთვე „მოქალაქენი“
არაყში ჩანადირები,
რეაქციისა საქებრად
რო დაუღიათ პირები.

მეორე სიტყვის, რაქველებს
უყვართ სიუხვით ხმარება,
თუმცა და იმა სიტყვაში
აზრი არ დაიარება,
უბრალო რაღაც კილაო,
(ბოლოზე დაეტარება)
მოკლეა... მისი გამოთქმა
არავის დაეზარება.

მესამე სიტყვა, ქურნალის
შეადგენს სახელ-წოდებას,
(თანახმად რედაქტორისა
ნაჩვევი მიღებ-მოღებას).
ქართველი ხალხის შესახებ
იქმოდა მოთქმა-გოდებას
მკითხველთა შორის იგულოვებს
უმეტეს „ზუბრთა“ წოდებას.

მას ქურნალს „სანაქებოსა“
თავი არ შეეფერება,
რამეთუ უაზრობითა
უზომოდ განიბერება,
ბექდავს ვისგანაც ქალალღზე
რაიმე დაიწერება...

მაშ ასო, წინა მღებარე
მას ნულა მიეკერება.

ახლა შეჰკარით სამივე
სიმწრითა მონახულები...
ორიოდ სიტყვა გამოვა
ადესას დანაგულები...
ვისაც მან კლანქი გამოჰკრას
გეგონოსთ დაკარგულები...
ვერც პროტექცია უშველის,
ველარც საქრთამო ფულები!..

შავ სულარაში გაახვევს
შავად ფერ გადანაღებსა
დიდს და პატარას არ არჩევს,
არც ნოქრებს, არცა აღებსა
სამარის კარებს, სისწრაფით
განუზომელით აღებსა...
დღეს ბათუმშიაც ელიან
ზღვის ვაღმა განაღადებსა.

რომ ჰკუთის ძალა არ დარჩეს
 აქ მეტათ განაწვალეები,
 ვიტყვი რომ საშარადოსა
 აზიური აქვს თვალეები...
 ის ტოლმაჩევი არ არის
 (იმას კი ვენაცვალეები!)
 თუმცა ლა, მსხვერპლი იმასაც
 ჰყავს ძნიად დასათვალეები.
 თუ ახლაც ველარ დახსენი,
 უთუოდ შემებრალეები.

კოლო

გველი და გლეხი

(გაგონილი იგავი)

დილა ადრე, ერთ სოფელელ გლეხს,
 გადმოედო თოხი მხარზე
 და ყანაში მიდიოდა,
 სახით, დაღვრემილით ძალზე.
 ნახა, ცეცხლი მოდსებოდა
 ხეს, მახლოვლად მდგარსა გზაზე
 და, ხის წვერზე მომწყვედულ გველს,
 შიშის ზარსა სცედა თავზე.
 საცოდაყმა იცოდა, რომ
 ლეკველად დაწოდა
 და, შიშისგან გულ წასულსა,
 რაღა ექმნა არ იცოდა!..
 მარა ამ დროს თვალი მოჰკრა
 გლეხს სოფლიდან მომავალსა
 და შესძახა: „მიშველეო,
 სამუდამოდ დამდებ ვალსა!..“

შეეცოდა გლეხსა გველი,
 მიაწოდა თოხი ჩქარა,
 ძირს ჩამოსვა უვნებელათ
 და მით გული გაუხარა.
 გველმა მაღლი გადუხადა:
 — „გმაღლობ ჩემო ძამიაო,
 ვინძლო იქნებ შენც დაგიდგეს
 გასაპირის ჟამიაო,
 მაშინ, ჩემო მეგობარო,
 იქვე შენთან გაგჩნდებიო“
 და იმ დროს-კი, დამერწმუნე,
 რომ მეც გამოგადგებიო!
 გლეხმა უთხრა: — „კარგი ძმაო,
 რაკი ასე გწადიაო,
 რა თქმა უნდა მეგობრობას
 მეც გაგიწევ ცხადიაო!..“

გადასწყვიტეს რაკი ასე,
 ახლად დამეგობრებულნი
 გზას გაუდგენ, მომავალზე
 მტკიცეთ დაიმედებულნი:
 რომ ისინი არასოდეს

არ გასწირვენ ერთმანეთსა,
 და თანაბრად გაიყოფენ
 ქირისა და ლხინის დღესა...
 მარა დახეთ, გველსა წყეულს!..
 დიდი დროც-კი არა გასულა,
 რომ შესცვალა თვისი თქმული
 გლეხს საკბენათ მიამურა.
 გლეხი შეერთა, გაუყვირდა,
 როცა გველი ასე ნახა
 და რაც ძალი-ღონე ჰქონდა:
 „რას შერებო?“ მიაძახა!
 „ნუ თუ უკვე დაგავიწყდა
 ცეცხლში რომ იწობოდიო,
 შეგიცოდე, ძირს ჩამოგსვი,
 სიამით ცას წვდებოდიო?“

— არა, არ დამევიწყებია,
 რაც სიკეთე მიყავიო
 და მაშინ რაც მოგახსენე,
 იმავე აზრის ვიყავიო.
 და მართლათაც პატივი გცე
 ჩემი რიგი-წესიაო,
 მარა რა ექნა; — „ჩვეულება
 რჯულზე უმტკიცესიაო!“

— მერე აქ შენ როგორ ფიქრობ,
 როს ღალატობ მეგობარსო,
 ამ საზიზლარ საქმისათვის,
 რას უწოდებ თავის თავსო?

— რას ვუწოდებ? გველს ვუწოდებ,
 საქმეც არის გველურიო
 და ვერავინ გამომტყუნებს,
 თუ არ ბრიყვი, ველურიო!..

— კარგი ძმაო, — უთხრა გლეხმა, —
 რაკი ასე არის ესო,
 ერთ რამეს გთხოვ, ამისრულე
 უგუნურს და ჰკუა თხელსო:
 გამომეყვი სამართალში,
 საქმე ვკითხოთ ვინმე ბრძენსო
 და თუ გავხდე მსხვერპლად შენდა,
 რაც გასურს ჰქენი, — მაღლი ღმერთსო!..

დაეთანხმა გველი გლეხსა
 და წავიდენ სამართალზე;
 სხვა რომ ვერავინ იპოვეს,
 ნახეს მუხა, მდგარი გზაზე.
 ვებერთელა, თითქოს წვერით
 მიბჯენილი იყო ცაზე,
 მოხუცებაც ეტყობოდა;
 ცალი მხრისკენ წახრილს განზე.

გლეხმა მუხას მოახსენა:
 — ჩემო დიდო ხელმწიფეო!
 ასე იყო ეს ამბავი,
 რითაც სიკვდილს ველი მეო.
 ამისათვის შენთან მოველ,

შენი სიბრძნის ქირიმეო,
 მტყუანი ვარ—გამამტყუნე,
 სიმართლეს ნუ წამართმეო!..
 მუხამ უთხრა: „შემომხედე,
 დიდი ხნის ვარ მოხუციო
 და თუ ისმენ, გეტყვი იმას,
 რაც ვცადე და რაც ვიცო.
 გადაავლე თვალი მინდორს,
 ხეს ვერ ნახავ აქ ჩემს მეტსო,
 ერთი მგზავრიც არ ამცდება,
 ყველა ჩემ ქვეშ ისვენებსო
 მით უმეტეს მაშინ, როცა
 შუე სწვავს სიციხით ქვეყანასო,
 სალამომდის იძინებენ,
 ინახავენ გრილად თავსო,
 მერმე, როცა ადგებიან,
 სულაც არ მიმადლიანო,
 მიმამტვრევენ მწვანე ტოტებს
 უმადურათ წავლიანო ..
 ვის უქნია კარგისათვის
 კარგი, ჩემო ბიძიაო?
 და შენც შენ ბედს დამორჩილდი
 რაკი ამ დღემ გიწვიაო!

მუხის თქმული, განაჩენი
 გველს მოეწონ-გაეხარდა,
 თაყვანი სცა მოსამართლეს
 და საკბენათ მოემზადა...
 მარა გლეხმა შეაჩერა,
 უთხრა: „ჩემო მეგობარო,
 ვიცი შენ შხამს ვერ ავცდები
 და კიდევაც შენი ვარო,
 მარა კიდევ გვედრები,
 რომ ვიჯგრო გლახ გულიო,
 დრო მომეცი, იქნებ ვპოვო
 უკეთესი მსაჯულიო!“

გველი აქაც დაეთანხმა.
 კვლავ წავიდენ სამართალზე
 და რომ ცოტა გაიარეს,
 წინ შემოხვდათ ვირი გზაზე.
 გლეხმა მუხლი მოიყარა,
 ქული გადაიძრო თავზე
 და გაშართა საუბარი
 ვირთან გველის საჩივარზე
 ვირმა უთხრა: „მიგდე ყური,
 გეტყვი ცოტა რამესო,
 თუმცა ვიცი ეს ამბავი
 გულს ვერ დაგვიანებსო
 თავდადებით ვმსახურებდი
 მე ჩემს პატრონს დღე და ღამო,
 ზურგზე ტყავი გადამაგლჯა
 უსაზომო შრომის გამო. .
 სწორედ რომ ვსთქვა, იმ შრომასაც

არაფრათ არ ვაგდებდიო,
 თავსაცუკი არ დაეზოგავდი,
 პატრონს თუ ვაიმებდიო...
 მარა დახე, როცა ძალი
 დამელია, დაებრდიო,
 კეტის ცემით გამომავდო,
 რას ვიზამდი. . ვავშორდიო!
 ვის უქნია კარგისათვის
 კარგი, ჩემო ბიძიაო
 და შენც შენ ბედს დამორჩილდი
 რაკი ამ დღემ გიწვიაო!“

მოისმინა გველმა რა ეს,
 მოეწონა — გაეხარა,
 წამოვიდა . მარა გლეხმა
 კვლავ ქედი მოიხარა
 და სრულ იმედ დაკარგულმა
 უთხრა „ჩემო მეგობარო,
 შიმხედარი ვარ: თურმე შენთან,
 დიდი დამნაშავე ვარო,
 მარა რაკი ორჯერ ხათრი
 გამიწიე—დამდეგო,
 მესამედაც გვედრები—
 სამართალზე წამყევო!“

გველმა კიდევ შეიწყნარა
 და წავიდენ; ნახეს მელა,
 არ ჩქაროდა, დალილივით
 მოდიოდა ნელა-ნელა.
 გლეხმ უთხრა: „ჩემო კარგო,
 ქუჩიანო მელიაო,
 ასე არის ჩემი საქმე
 ვიმედობ მიშველიაო !! .
 გაუჯავრდა გლეხს მელია:—
 „რად ხარ ეგრე სულელიო!
 შენ ტუტუტო გველისაგან
 აბა რა კარგს მოელიო!! .
 რისთვის გინდა ეგ თოხი რომ
 გაგიღვია მხარზედაო?
 გადმოიღე, დაჰკა მედგრათ
 და გასქერი შეაჯედაო!“
 გლეხი უცებ გონს მოვიდა,
 მოიმარჯვა თოხი ხელში
 და მელიას რჩევისამებრ
 გასქრა გველი შუა წელში
 მსაჯულს მადლი ვადუხადა:
 „გმადლობ ჩემო მელიაო!
 ვხედავ დიდათ დამავალი
 და გადახდაც ძნელიაო,
 მარა რითაც შემეძლება,
 ჩემო კარგო ძამიაო,
 ვეცდები, რომ მეც ქირის აოო
 შემოგწირო თავიაო!“
 მელამ უთხრა: „აღლილი ვა“

დილას აქეთ ნარბეხაო,
 უკან მონადირე მომდევს,
 აღარ ძალ მიძს ამდენო,
 ცოტა მოსვენება მინდა,
 და თუ რომ დამეძინოსო—
 ვინძლო ჩემი მადეგარი,
 სიდაგანც იყოს, გამოჩნდესო,
 მხოლოთ მაშინ მეგობარო,
 ჩუმად წამკრავ თავზე ხელსო,
 წამოვხტები, თავს უშველი,
 რითაც პატივს წენ მცემ დღესო!”

— დაიძინე ჩემო კარგო,
 დაბა გები მცველათაო
 და თუ ვინმე გამოჩნდება
 გაგაღვიძებ ხელათა ა..

ვითომც დაიმედებული
 მელა მიწვა... დაეძინა..
 გლეხმა მძინარს ზურგზე ხელი
 გადაუსვა... გაეციქ...
 და სთქვა: „მშვენიერი ბეწვი
 ჰქონებია მედიასო!
 მოდი მოვკლავ, ტყავს გაეადრობ
 და ამ ძვირფას სანახავსო..
 სთქვა და თოხი გაუსწორა
 დასარტყამათ მძინარს თავზე
 და რო უნდა მოხვედროდა,
 მელა უცებ გახტა ვანზე!..
 იქიდან კი გლეხს დაცინვით
 უთხრა: „ჩემო ნათლიაო,
 გლახა მუდამ გლახურს იხამს,
 ჭკუიანის ნათქმიაო!..
 მეც ეს სიბრძნე დავისწავლე
 და მით საქმეს ვშერები სწორსო,
 რომ შენფერებს ჭირში ვშველი,
 მარა ნდობით ვდგევარ შორსო!..
 და აგრეთვე უოჩვე ყველას
 ჩემს ნათესავ მეგობრებსო,
 რომ მიჰბაძონ ჩემს მავალითს
 უფროსოდენ სულელ მტრებსო!“

ირაკლე.

დ ე ჯ ე მ ე ბ ი .

დღეისთვის: სენატორი ვატაცის ამორების დროს
 ოთხი ათასიოდდე დროებით ვალდებული გლეხი
 უგზო უკვალოდ დაიკარგა, მაგრამ ვატაცის წასვლის
 შემდეგ თავდა-აზნაურობამ ისევ ნახა და შეწევნითა
 დეთისათა „ჩაუნადელებს“ კიდევც...

ლაილაში: სენატორ ვატაცისთან მოსალაპა-
 რაკებლათ ლაილაშლებმა შეუღარო „ორატორი“

ნიკო ჯანუაშვილი ამოიჩინეს, დეპუტატს ცოტა
 ნუნუა გადაეკრა (ალბათ ხოლერის შიშით) და „რე-
 ჩის“ ნაცვლათ ჩინებული „ოდელა დელია“ წა-
 მოიწყო...

ქადაწვე: საფოსტო განყოფილების უფროსი
 გვეტაძე ქეიფობას გადაჰყვა და გასაღებიც თან გაი-
 ყოლა. ჯერ-ჯერობით ნაწერები დაკეტილში ინა-
 ხება.

იქიდანვე: ექიმი გრიგორაშვილი ბებია ქალს
 დონდუას აეშალა. თუმცა დამნაშავე ბატონი „მკურ-
 ნალი“ ბრძანდება, მაგრამ შესარიგებლათ მაინც
 დონდუას ქალის მიერ ბოდისის მოხდაა საჭირო.

ჭრებალო: დიდი ნადიმი გაიმართა თავად სამ-
 სონ გარდაფხადის პატივსაცემლათ. „ურამ“ ბაზარი
 დააზიანა, ხოლო გიორგი გიორგობიანი მთლათ გა-
 ხეთქა. ცეკვა იყო შამშე გელოვანის საფლავზე..

იქიდანვე: გარდაიცვალა სამკითხველოს პრო-
 ექტი. მიცვალებული მამა გიორგი სოხაძემ აკურთხა,
 მაგრამ მაინც ვერ გაცოცხლდა..

იქიდანვე: აკურთხეს საფოსტო განყოფილება.
 თამადამ უწინ „ყაძახები“ აღდგერძელა და ამას
 არეულობა მოჰყვა. ჯერ-ჯერობით დაზარალდა ჯამ-
 ქურქელი.

იქიდანვე: მოხდა დიდებული ნათლობა. მო-
 ნათლეს ხოსია ჩაჩუნაშვილის ვაჟი, რომელსაც სა-
 ხელად „მიპკო“ უწოდეს..


ლაილაში: ჩინოვნიკობა წარმოდგენებს არ
 აკლდება. ბილეთის მაგიერობას კაპარდა ასრუ-
 ლებს.

ნაცნობი.

ქ უ რ ნ ა ლ


„მათრას-სალაშქროს“

რედაქცია აცხადებს, რომ ჯურნალი 29 აგვისტო-
 დან კვლავ გამოვა იმავე შინაარსით. რედაქცია ვც-
 დება შემდეგში ჟურნალი თავ-თავის დროზე გამო-
 ვიდეს. იმ ხელის მომწერთ, რომელთაც მთელი
 წლის ფული გადახდილი აქვთ „კრებულის“ მა-
 გიერ გაეგზავნებათ გიორგის ყუღდავი თხზულება
 „**ფაშისტნი**“ თარგმანი ჰ. მიჩოიანაშვილისა. იმ ხელის
 მომწერლებს, რომელსაც მთელი წლის ფული არ
 აქვთ შემოტანილი, ვთხოვთ შემოიტანონ. პრემია
 დაურაიდებათ წლიურ ხელის მომწერლებს 10 სექ-
 ტემბრიდან.



დაწინაურებულ ადამიანთა საზოგადოებამ მოიგონა ზღეებზე სომალდები და სშეუიოზე მატარებლები *).

*) ჩვენ, ქართველები, ზღის პირად მიედივართ მხოლოდ მაშინ, როცა თავი გვაქვს დასაბრბობი და მატარებლებზე, როცა კისერი მოსატეხი.



უკანასკნელი სიტყვა მოძრაობის განვითარებისა არის,—ფრენა *). რადგან მტაცებელ ცხოველთა დასჯა უფრო ადვილია, ვიდრე მტაცებელ ფრინველთა, ამისათვის აღარ დაზოგა ადამიანმა არავითარი საშუალება და კიდევაც აფრინდა ზეცად.

*) ქართველთა ბუნებას ძლიერ უყვარს აღმაფრენა, მგრამ ეს ხელმისაწვდომია მისთვის შეზღობილ კარგი სადილისა და ისიც სიზმრად მყოფობაში, ანუ ოცნებითად.



თფილისი, ვოლოჯინის პოსტ. № 6, ტელეფონი № 481.

სილულის სამკურნალო ფხალი

ე. ლალიძის და ამბ.